მაია ახვლედიანი, ქეთევან ლატარია

ყურადღება - სტუდენტის წარმატების განმაპირობებელი ერთ-ერთი ძირითადი პირობა

ანოტაცია: *სტატია ეძღვნება ლექციაზე სტუდენტის ყურადღებიანობის ხარისხს და მის მნიშვნელობას წარმატებისათვის. ვსაუბრობთ ლექტორის მუდმივ ძალისხმევაზე, როგორ ჩამოაყალიბოს სტუდენტი აქტიურ მსმენელად. გთავაზობთ ყურადღების კონცენტრირების სტრატეგიებს. კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი ამ დროს მოტივაციის მნიშვნელობას, სალექციო თემის კავშირს სტუდენტთა ინტერესების სფეროსთან, გადაღლის შემთხვევაში ყურადღების ხელახალ აქტივაციას, ასოციაციების, პარალელების, რიტორიკული და საძიებო შეკითხვების დამხმარე როლს მასალის საფუძვლიანი დამუშავებისათვის. შევეცადეთ ტერმინების - ხანმოკლე, გარე და ხანმოკლე მეხსიერების მოკლე მიმოხილვას ახალ მასალაზე კონსპექტის გაკეთების შემთხვევაში. ლექციაზე მთავარი პრობლემა სტუდენტის პასიური როლია. აქტიურ აზროვნებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სწავლისათვის.*

ამოსავალი სიტყვები: *უნარი, ყურადღება, შესაძლებლობები, სტრატეგია, აქტიური აზროვნება.*

Maia Akhvlediani, Ketevan Lataria

Attention - one of the main factors of student success

Annotation: *The article is dedicated to the quality of the student's attention to the lecture and its significance for success. We talk about the lecturer's continuous efforts to establish a student as an active listener. Offer attention concentrating strategies. Once again we would like to emphasize the importance of motivation at this time, the topic of the lecture community in the field of students' interests, the re-activation of the attention, and the supporting role of associations, parallels, rhetorical and inquiry questions for a thorough processing of material. We tried a brief overview of the terminology - short, external and short memory in case of concrete on new material. The main problem on the lecture is the passive role of the student. Active thinking is crucial for effective learning.*

Key words*: Ability, attention, opportunities, strategy, active thinking*

სტუდენტის წარმატებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი პირობა - მისი ყურადღებიანობის ხარისხია ლექციაზე. საკმაო ძალისხმევას

ვანდომებ ლექციის სათანადოდ დაგეგმვას, პრეზენტაციას, რათა უზრუნველვყო სწავლის მიმართ სტუდენტის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება და შეძენილი ცოდნის მაქსიმალური რეალიზაციის უნარის გამომუშავება. მუდმივ საზრუნავად რჩება სტუდენტის ყურადღების კონცენტრირება, რადგან, ინფორმაციის დამუშავების თვალსაზრისით, სტუდენტის წარმატების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ყურადღება, რაც გულისხმობს კოგნიტური შესაძლებლობების ფოკუსირებას ცვალებად, ახალ, ან საინტერესო საგანსა თუ მოვლენაზე. თუმცა თითოეული ინდივიდის უნარი - კონცენტრირება მოახდინოს გარემომცველი სამყაროს ამა თუ იმ მახასიათებელზე - შეზღუდულია. ჩვეულებრივ, ინდივიდთა შესაძლებლობებს ერთმანეთისაგან განასხვავებს აქტივაციისა და მოტივაციის ხარისხი. ერთსა და იმავე დროს შესაძლებლობის გარკვეული ნაწილი ეთმობა მოცემულ დავალებას (ჩვენს შემთხვევაში ლექციის მოსმენას), მეორე ნაწილი - კონსპექტის შედგენას, მესამე ნაწილი - გარეშე ფაქტორებს, ხშირად პირად განცდებსა და ფიქრებს.

ყურადღების დაფანტვა უპირატესად ნიშანდობლივია პასიური ლექციური სიტუაციებისათვის, რომლის დროსაც სტუდენტს არ ეძლევა მოცემული მასალის ირგვლივ აქტიური აზროვნების საშუალება. ალბათ ყოველი ჩვენგანი გაიხსენებდა შემთხვევას, როცა აღმოვაჩინეთ, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე სულაც არ ვუსმენდით ლექტორს, რადგან ყურადღებამ უნებურად გადაინაცვლა ჩვენი საკუთარი ფიქრებისაკენ, რომელთაც, თავის მხრივ, სუსტი კავშირი აქვთ ლექციის თემატიკასთან.

სტუდენტები ფლობენ ყურადღების კონცენტრირების მრავალფეროვან სტრატეგიებს. ნებისმიერი ლექტორი იცნობს ყურადღების მიპყრობის მარტივ ხერხს, კერძოდ, თემის გაშუქებას იწყებს გაფრთხილებით: ,,მომავალი ტესტი მოიცავს მოცემულ მასალას''. აუდიტორიის ყურადღებას, როგორც წესი, იპყრობს ცალკეული სიტყვები, ან ფრაზები, რომლებიც მიუთითებენ, რომ წინამდებარე თემის დასწავლას სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

ყურადღებას იზიდავს გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებიც. ლექტორს შეუძლია კარგად ისარგებლოს ცვლილების აღნიშნული ეფექტით და საუბრის დროს მიმართოს ინტონაციის, ტემპის, ჟესტიკულაციის, სახის გამომეტყველების, აუდიოვიზუალური საშუალებების მრავალფეროვან ვარიაციებს.

სმენითი ყურადღების მიმართულებას რამდენადმე განსაზღვრავს ვიზუალური ყურადღება. გარეშე მოძრაობას შეუძლია სტუდენტის ყურადღება ლექტორის საუბარს ჩამოაშოროს. თუმცა ეს უარყოფითი ფაქტორი, სწორი გამოყენების შემთხვევაში, უაღრესად

პოზიტიურ შედეგს იძლევა. სტუდენტი უკეთ ითვისებს ახსნილ მასალას, როცა ხედავს მოსაუბრის სახესა და ტუჩებს. ეცადეთ არ გაწყვიტოთ მზერითი კონტაქტი აუდიტორიასთან.

ყურადღების მიზიდვის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტივაციას. ლექციის დაკავშირება სტუდენტთა ინტერესების სფეროსთან; ცოცხალი, ,,დამაინტრიგებელი" მაგალითები; ძალების მიმართვა კონფლიქტის გადაჭრისაკენ _ აი, კონცენტრაციის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხერხების სპექტრი. თუმცა აქვე უნდა გავიხსენოთ მოსაზრება ლექციის დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ ყურადღების შესუსტების შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ ვცადოთ სტუდენტის ყურადღების შენარჩუნება ერთი საათის, ან უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უმჯობესია პერიოდულად შევწყვიტოთ ლექციის კითხვა და შევთავაზოთ პრობლემის წამოჭრა - ,,ერთწუთიანი წერა''.

გავეცანი ბრაუნისა და ატკინსის, ბლაის გამოკვლევებს ყურადღებისა და აზროვნების სასურველი დონის მიღწევისათვის ლექციის განმავლობაში. ჩემს კოლეგებს ვურჩევდი, რომ როცა სტუდენტებს გადაღლას შეამჩნევთ, მიეცით ფეხზე წამოდგომისა და მცირე ხნით შესვენების შესაძლებლობა. ვნახავთ, რომ მეცადინეობის განახლების შედეგად მიღებული ცოდნა არა მარტო აკომპენსირებს იმ ცოდნას, რომელსაც შევიძენდით შესვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არამედ მნიშვნელოვნად აღემატება მას ხარისხის თვალსაზრისით.

ლექტორმა სისტემატურად უნდა იზრუნოს, რომ სტუდენტი ჩამოაყალიბოს აქტიურ მსმენელად. მოსმენის უნარი თანდაყოლილია, თუმცა შესაძლებელია მისი დახვეწა სათანადო ვარჯიშის შედეგად. მაგალითისათვის, თხოვეთ სტუდენტებს ერთი წუთის განმავლობაში დაწერონ რას ელიან თქვენი ლექციისაგან, ან რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებაში, რომელიც დღევანდელი დღისათვის უნდა მოემზადებინათ. აუხსენით მათ, რომ აღნიშნული სტრატეგია მნიშვნელოვნად განავითარებს მოსმენის უნარს, რადგან იგი ხელს უწყობს ყურადღების მობილიზებას და შესაბამისი ძველი ცოდნის აქტივაციას.

მომდევნო სტრატეგია გულისხმობს ლექტორის მოსმენას ხუთი-ათი წუთის განმავლობაში ყოველგვარი ჩანაწერის გაკეთების გარეშე და, შემდეგ, მოსმენილის წერილობით შეჯამებას. სტუდენტები ხშირად ადარებენ ერთმანეთის ნაშრომებს.

ლექციის დასასრულს, სასურველია სტუდენტებს მიეცეთ ხუთი წუთი, რათა მათ მოკლედ გააცნონ საკვანძო საკითხები გვერდით მჯდომ სტუდენტებს. გაარკვიეთ რამდენად ეფექტურად იმოქმედა ამ სავარჯიშომ მოსმენის უნარის განვითარებაზე და მიუთითეთ, რომ

ლექციაზე მსგავსი ხერხის გამოყენება შესაძლებელია საკუთარი კონსპექტის შედგენის დროსაც.

ასევე უნდა დავაკვირდეთ, როგორ ამუშავებენ სტუდენტები ლექტორის მიერ მიწოდებულ მასალას. სტუდენტთა დიდი ნაწილი სათანადო ყურადღებას უთმობს ლექციას. თუმცა მასალის გაგებას, დამახსოვრებასა და გამოყენებას ყოველი მათგანი სასურველ დონეზე ვერ ახერხებს. სტუდენტები ფლობენ მასალის გადამუშავების განსხვავებულ შესაძლებლობებს, რომელთაც დაწვრილებით აღწერენ გოტებორგის უნივერსიტეტის მკვლევარები: მარტონი, სალიო და სხვ. ზოგიერთი სტუდენტი თავს არიდებს დამუშავების პროცესს და სიტყვასიტყვით იწერს ლექტორის საუბარს („ზედაპირული მიდგომა''). სხვები ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ ნათქვამის არსს, განახორციელონ მასალის ინტერპრეტაცია და შეუთავსონ იგი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. ისინი გამოირჩევიან კრიტიკული დამოკიდებულებით ნებისმიერი მოსაზრების მიმართ („საფუძვლიანი დამუშავება'').

გამოცდილი სტუდენტი სტრატეგიას ირჩევს კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ მოთხოვნებზე დაყრდნობით. საზოგადოდ, „საფუძვლიანი დამუშავება“ უზრუნველყოფს მასალის უკეთ დამახსოვრებასა და შეძენილი ცოდნის ეფექტურ რეალიზებას. ჯგუფს მასალის საფუძვლიანი დამუშავებისაკენ უბიძგებს ასოციაციები, პარალელები, რიტორიკული და სააზროვნო შეკითხვები. დაეხმარეთ სტუდენტს გააცნობიეროს ახალი კონცეფციის პირად გამოცდილებასთან დაკავშირების მნიშვნელობა.

ხშირად მიფიქრია, საჭიროა თუ არა ლექციის ჩაწერა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ლექციის დროს ჩანაწერების გაკეთების წყალობით სტუდენტი ახდენს ყურადღების კონცენტრირებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში და გაცილებით იოლად იმახსოვრებს მასალას. ტერმინი - „ხანმოკლე მეხსიერება“ მიუთითებს, რომ მოცემულ მომენტში გონებაში შეიძლება აღიბეჭდოს მხოლოდ განსაზღვრული მოცულობის ინფორმაცია. როცა ლექტორი ჩქარ ტემპში აყალიბებს მრავალრიცხოვან ახალ-ახალ კონცეფციას, სტუდენტთა ნაწილი საერთოდ წყვეტს წერას, ნაწილი კი სტრესულ ვითარებაში აგრძელებს კონსპექტის შედგენას. მაშასადამე, ლექციის მსვლელობისას ჩანაწერების გაკეთება საჭიროებს საკმაოდ დიდ ძალისხმევას, ყურადღების ხანგრძლივად დაძაბვას, მოსმენილის გაგებას და მის შენახვას ხანმოკლე მეხსიერებაში დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში, რომელიც საკმარისი იქნება მასალის ჩასაწერად. ინფორმაციის დამუშავების უნარი დამოკიდებულია მოცემული მასალის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაციის, მთლიანობაში აღქმის ხარისხზე.

ჩანაწერების მეთოდს ყველაზე ეფექტურად იყენებენ გამორჩეულად ნიჭიერი სტუდენტები, თუმცა მნიშვნელოვანია არა მარტო თანდაყოლილი ნიჭი, არამედ შეძენილი ინტელექტიც. ცოდნის დაბალი დონის მქონე ინდივიდი კოგნიტური ძალების ძირითად ნაწილს უთმობს არა მოსმენასა და გაგებას, არამედ წერას, რის შედეგადაც მისი ცნობიერების მიღმა არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი რჩება. სტუდენტების უნარი - წერის დროს შეინახონ ინფორმაცია მეხსიერებაში და, რაც მთავარია, უზრუნველყონ მისი დამუშავება - დამოკიდებულია მათ კოგნიტურ სტრუქტურებზე.

დასკვნა: და მაინც, როგორ შევაჩვიოთ სტუდენტი აქტიურ აზროვნებას ლექციის დროს? როგორც აღვნიშნეთ, ლექციაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს სტუდენტის პასიური როლი. თუმცა, ინფორმაციის დამახსოვრებისა და შემდგომში მისი გამოყენების მიზნით, საჭიროა აქტიური აზროვნება. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მარტივ და ეფექტურ ხერხს წარმოადგენს ,,ერთწუთიანი წერა“. მეცადინეობის დაწყებისას ლექტორი აცნობებს ჯგუფს, რომ გარკვეული ხნის შემდეგ დროებით შეწყვეტს ლექციის კითხვას და თხოვს სტუდენტებს ერთი (ზოგჯერ ორი, ან სამი) წუთის განმავლობაში წერილობით განიხილონ მათთვის საინტერესო საკითხი, რომელიც უკავშირდება ან მოცემულ ლექციას, ან წინა მეცადინეობებს. და ბოლოს მუდმივად შეახსენეთ სტუდენტებს, რომ აქტიურ აზროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სწავლისათვის.

ლიტერატურა:

რ. ჯ. მარზანო, ი. ს. მარზანო, დ. ფ. ფეიქნიგი. 2009. *კლასის მართვა.* თბილისი.

ჯორჯ ბრაუნი. 1978. *ლექციის კითხვა და ახსნა-განმარტება.* ლონდონი, მიუნხენი.

პ. მარკი. 1994. *პროფესორის ვალდებულებები: კოლეჯში სწავლების ეთიკური საკითხები.* ნიუ იორკი.